ხელშეკრულება #9

31 აგვისტო 2016 წელი

ა.(ა).ი.პ. ახალგორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის დავით ელბაქიძის (შემდგომში „შემსყიდველი“) სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს „საკანცელარიო სამყარო მმ“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მამუკა მირიანაშვილის სახით (შემდგომში „გამყიდველი“), ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, ქსოვილის ნივთების, ავეჯის აქსესუარების, სპეც. ტანსაცმელი და აქსესუარების, ტყავის, ტექსტილის, რეზინის და პლასტმასის ნარჩენების შესყიდვა ერთჯერადად;

1.2 შესასყიდი ნივთების CPV კოდები - 39800000; 33700000; 39500000;39200000; 18400000;19600000;

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანაზღაურება:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს და 00-თეთრს;

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია გამყიდველს აუნაზღაუროს ამ მუხლის 2.1-პუნქტით გათვალისწინებული თანხა, უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5-სამუშაო დღის განმავლობაში;

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ამ ხელშეკრულების ყველა პირობა;

3.2 „გამყიდველი“ ვალდებულია მიაწოდოს „შემსყიდველს“ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

3.3 „გამყიდველი“ ვალდებულია „შემსყიდველთან“ გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

3.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ნებისმიერი რისკი, დაკავშირებული შესყიდული საქონლის დაზიანებასთან გადადის „შემსყიდველზე““

3.5 „გამყიდველი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი;

3.6 „გამყიდველი“ ვალდებულია აიღოს პასუხისმგებლობა ნივთის ნაკლზე , რომელიც წარმოშობილია მისი „შემსყიდველის“ საკუთრებაში გადაცემამდე;

3.7 „შემსყიდველი“ ვალდებულია „გამყიდველს“, უნაღდო ანგარიშსწორებით, აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „გამყიდველის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

4.2 „გამყიდველი“ იღებს ვალდებულებას გაცემულ თანხებზე საგადასახადო ანგარიშსწორება მოახდინოს საგადასახადო დადგენილი წესით;

4.3 „შემსყიდველის“ მხრიდან ანგარიშსწორება განხორციელდება „გამყიდველის“ მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, დადასტურებიდან არაუგვიანეს 5-დღისა;

„შემსყიდველი“

„გამყიდველი“

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 აგვისტოდან - 30 სექტემბრის ჩათვლით.

6. დავების გადაწყვეტა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მხარეებს“ შორის წარმოშობილი ყველა დავა შეიძლება გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დამატებითი პირობები

7.1 თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისთვის;

7.2 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ფორს-მაჟორული გარემოებებით, იგულისხმება ომი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეტეოპირობები და მთავრობის განკარგულებები;

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „გამყიდველს“, ხოლო მეორე „შემსყიდველს“.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

“შემსყიდველი”:
ა.(ა).ი.პ. ახალგორის მუნიციპალიტეტის სჯდ ცენტრი
ს/კ 436031795
მის.: მცხეთა, წეროვანის დევნილთა დასახლება, რიგი 16 ბინა 1479
T: 790 40-42-40, 557 271-261

დირექტორი: /დ.ელბაქიძე/

ბ.ა.

“გამყიდველი”:
შ.პ.ს. “საკანცელარიო სამყარო მმ”
ს/კ 405060151
მის.: ქ.თბილისი, რობაქიძის №7
ბანკის დასახელება: თიბისი ბანკი
ა/ა GE48TB7886136020100001
ბ/კ TBCBGE22

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.